,,სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს“

2022 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

2018 წლის, 3 სექტემბრის N42 დადგენილებით დამტკიცდა ,,სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება“.

დებულების თანახმად, საბჭოს შემადგენლობაში შედიან: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს კომისიების (სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის, ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიული, საფინანსო–საბიუჯეტო, სოციალურ საკითხთა) თავმჯდომარეები, აგრეთვე მუნიციპალიტეტში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ასევე, საბჭოს შემადგენლობაში არიან: მერიის ,,განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სასმსახურის“, ,,სოციალური სამსახურის“, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის, გაზეთ ,,მაცნეს“ და ბავშვთა საავადმყოფოს წარმომადგენლები.

საბჭოს შემადგენლობა დამტკიცებულია, საკრებულოს თავმჯდომარის N:**ბ63.63220942** ბრძანებით (თარიღი:**04/04/2022**).

საბჭო შედგება 20 წევრისაგან (11 ქალი, 9 კაცი).

მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო, წელიწადში ერთხელ საკრებულოს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ;
2022 წლის განმავლობაში ჩატარებულია სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 3 სხდომა (06.04. 2022 წ; 25.10.2022 წ ; 13.12.2022 წ), სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის პროექტზე მომუშავე ჯგუფის 2 სხდომა ((19.07.2022 წ; 29.11.2022 წ). და არაერთი შეხვედრა.
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **გ-63. 632233515** განკარგულებით (01/12/2022) დამტკიცდა, ,,სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა“.

2022-2024 წლებისათვის, საბჭოს საქმიანობის ხუთი ძირითადი მიმართულებაა განსაზღვრული:

1. ქალთა საჭიროებებზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება.

2. მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა.
3. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებისა და გოგოებისთვის, მათ შორის ეკო-მიგრანტების, ეთნიკური უმცირების, დევნილების, მარტოხელა დედების, შშმ და სხვა ჯგუფების წარმომადგენელთათვის და ახალგაზრდებისათვის.
4. კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაძლიერება გენდერული თანასწორობის საკითხებზე, როგორც ცენტრალურ ისე ადგილობრივ დონეზე.
5. გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგის მონაწილობითი პროცესის უზრუნველყოფა.

მერიის შესაბამის სამსახურთან მიმართვის საფუძველზე, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური სამსახურის , 2022 წლის მიზნობრივ სოციალურ პროგრამაში", გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის კუთხით გათვალისწინებული იყო თანხა 5 000 ათასი ლარის ოდენობით.

სამოქმედო გეგმის საფუძველზე, ვაწარმოებთ სტატისტიკას.
სამტრედიის მუნიციპალიტის მერიასა და საკრებულოში დასაქმებულთა, ასევე გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე დასაქმებულთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში ასეთია:

საკრებულო:
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო წარმოდგენილია 33 წევრით. მათ შორის 26 - კაცი და 7- ქალი. საკრებულოში პოლიტიკური თანამდებობის პირი: 5 - ქალი, 15 - კაცი. საკრებულოში კომისიის თავმჯდომარე: 1- ქალი, 4 - კაცი. ფრაქციის თავმჯდომარე: 2 - კაცი. აპარატის უფროსი: 1- ქალი. აპარატის თანამშრომელი: 8 - ქალი, 1 - კაცი.

მერია:
მუნიციპალიტეტის მერი: კაცი. მერის 2 მოადგილიდან, ორივე კაცია. მერიის სამსახურის უფროსები: 1- ქალი, 6 - კაცი. განყოფილების უფროსი: 5 - ქალი, 4 - კაცი. საჯარო მოხელე: 33 -ქალი, 21 კაცი. ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული: 21 - ქალი, 30 - კაცი.

სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს და საკრებულოს აპარატის თანამშრომლებს გავლილი აქვთ, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ მოწოდებული ელექტრონული კურსი ,, სექსუალური შევიწროვების პრევენციისათვის". ასევე ცნობადობის ამაღლების მიზნით გავმართეთ შეხვედრა საჯარო მოხელეებთან.

2022 წლის განმავლობაში გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისა და მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს და ა(ა)იპ-ის თანამშრომლებისათვის განხორციელებული ტრენინგების ჩამონათვალი:
არასამთავრობო ორგანიზაციამ ,,ვაკეთოთ ერთად", გამართა ტრენინგი, სახელწოდებით : ,,ადვოკატირება და ლიდერობა ადგილობრივ თემებში". ტრენინგს ესწრებოდნენ, იანეთის თემში ჩასახლებული რეპატრიანტი მესხი ქალები , მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, მერიის სოციალური და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელები და გენდერზე პასუხისმგებელი პირები.

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიერ გამართულ სამუშაო შეხვედრაზე იმერეთის ადგილობრივი გენდერული თანასწორობის საბჭოებთან, წარმოვადგინეთ პრეზენტაცია, 2021 წელს, სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

,,დემოკრატიული ჩართულობის ქსელების ცენტრის" პროექტის ფარგლებში - ,, თემის გაძლიერება გენდერული თანასწორობისათვის", 2022 წლის განმავლობაში ჩატარდა 5 ტრენინგი, სამიზნე ჯგუფი იყო სამოქალაქო განათლების პედაგოგები და საბავშვო ბაღის აღმზრდელები.

საბჭოს წევრთა მიერ, ჩატარდა შეხვედრები ა(ა)იპ-ის თანამშრომლებთან, საჯარო მოხელეებთან, სოციალურად დაუცველ ქალებთან, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებთან გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

კანადის თანასწორობის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, სამტრედიის ადგილობრივ თვითმართველობების წარმომადგენლებთან ერთად, მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებს, ქალთა ფონდი ,,სოხუმის'' მიერ გადაეცათ მობილური ტელეფონები - SOS აპლიკაციით და სასურსათო ამანათი.
ამავე ორგანიზაციის მონიტორინგის ჯგუფისა და ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას, მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, მუნიციპალიტეტის სამსახურების, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლები დაესწრნენ. შეხვედრის თემა იყო „ოჯახში ძალადობის აღკვეთაში საზოგადოების ჩართულობა" .

ა(ა)იპ-იმ ,,დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი", განახორციელა პროექტი ,, თემის გაძლიერება გენდერული თანასწორობისათვის". პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტში გაიმართა 5 შეხვედრა.

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო ანხორციელებს ადგილობრივ დონეზე თანამშრომლობის გაძლიერებას. ამ მიმართულებით, მათი მხრიდან განსაზღვრულია კონკრეტული აქტივობები. კერძოდ, კოორდინაცია ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოებთან მათი გაძლიერებისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

საბჭოს ინიციატივით, არაერთი შეხვედრა გაიმართა (zoom-ის საშუალებით)საპარლამენტო გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნულ ასოციაციის წარმომადგენლებთან. ვთანამშრომლობთ მათთან და ვღებულობთ რეკომენდაციებს.

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (NALAG), გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს - „გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ლოკალიზაცია", რომელიც ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით მიმდინარე ინიციატივის ,,კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში" ფარგლებში მიმდინარეობს. სწორედ, გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით გამართა შეხვედრა საბჭოს წევრებთან.

ქალთა ასოციაცია ,,ვაკეთოთ ერთად" ახორციელებს პროექტს ,,წყალტუბო, ხონი, სამტრედია, ზუგდიდი: თანამშრომლობა ქალთა უფლებების დაცვისათვის". აღნიშნული პროექტის ფარგლებში, საბჭოს წევრები დავესწარით ტრენინგს.

საბჭოს წევრებთან და საჯარო მოხელეებთან, ფონდმა ,,სოხუმი", გამართა შეხვედრა თემით ,,ფემიციდი, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის უკიდურესი გამოვლინება - მიზეზები და პრევენციის გზები".

ქალთა ფონდი ,,სოხუმი"-ს ინიციატივით, ჩვენს მუნიციპალიტეტში ჩატარდა საკმაოდ საინტერესო შეხვედრა, რომელსაც ვესწრებოდით საბჭოს წევრები, მერის წარმომადგენლები, სამტრედიის, ლანჩხუთის, ბაღდათის, ხონის, თერჯოლის და ვანის ბავშვთა ოთახის თანამშრომლები. თემა: ,,მეზობელი მუნიციპალიტეტების გამოცდილება, ბავშვთა ოთახის საქმიანობის შესახებ."

გენდერული თანასწორობის საკითხებზე, ძალადობის სახეებზე, სამართლებრივი დაცვის მექანიზმებზე, ცნობადობის ამაღლებისა და ქალთა საჭიროებების კვლევის მიზნით, შეხვედრა გვქონდა მერიის დაქვემდებარებაში მყოფ ა(ა)იპ-ების თანამშრომლებთან და ხელმძღვანელ პირთან.

ონლაინ შეხვედრებს ვმართავდით როგორ სოფლად, ასევე ქალაქში მცხოვრებ ქალებთან. ვსაუბრობდით მათ პრობლემებსა და საჭიროებებზე.

საბჭოს წევრები, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ვესწრებოდით, სოფლის კრებებს (მელაური, ღანირი, იანეთი), რომელზეც ხდებოდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული პრიორიტეტების გამოვლენა.

აღსანიშნავია, რომ სოფლის კრებებზე გაიზრდა ქალთა ჩართულობა. იანეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლის მხარდაჭრის პროგრამით გამართულ სოფლის კრებას, რომელზეც სოფლის პრიორიტეტად წარმოდგენილი იყო სამი საკითხი და ორი საკითხის ინიციატორი ქალი იყო, სოფლის კრებაზე მოწონებულ იქნა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს, შეხვედრა გვქონდა იანეთის უბანში მცხოვრებ, რეპატრიანტ მესხ ქალებთან, რომელთა პრობლემა, არხების გაწმენდითი სამუშაოების შესრულება იყო.

21 მარტს, ,,დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეს", დავამზადეთ საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტები და ცნობადობის ამაღლების მიზნით, გავმართეთ შეხვედრა საჯარო მოხელეებთან და ხელმძღვანელ პირებთან.

,,ვარდისფერი ოქტომბერი '' - ძუძუს კიბოს შესახებ, ცნობიერების ამაღლების კვირეულს შეუერთდა მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები და სამტრედიელი ქალბატონები.

2022 წლის 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით, შევუერთდით ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში გათვალისწინებულ ყველა ღონისძიებას. დავგეგმეთ და ორგანიზება გავუკეთეთ შემდეგ ღონისძიებებს:

25 ნოემბერს, ქალებზე ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისო დღეს, მუნიციპალიტეტში დაიწყო საინფორმაციო კამპანია. მოქალაქეებს დავურიგეთ, საინფორმაციო ბუკლეტები.

29 ნოემბერს, უფლებადამცველ ქალთა საერთაშორისო დღეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა გამართეს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის მიზნით, საინფორმაციო შეხვედრა.

1 დეკემბერს, შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს, მოვაწყვეთ პერფორმანსი ,,მოლაპარაკე ფეხსაცმელები". ჩვენ ამ ფორმით შევეცადეთ, ხმამაღლა მოგვეყოლა ქალების ამბები. იმ ქალების, რომელთა უფლებები არაა დაცული. თითოეული ქალის ფეხსაცმელი ჰყვებოდა ისტორიას. ყურადღების მიქცევის და სათქმელის ამ ფორმით გამოხატვის ეს მეთოდი, დიდი ხანია გამოიყენება მსოფლიოში სხვადასხვა აქციის დროს.

5 დეკემბერს, მოხალისეთა დღე აღნიშნეს სამტრედიის წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა. ამავე დღეს, ახალგაზრდული პარლამენტის წევრებმა აწარმოეს გამოკითხვა მოქალაქეებთან ძალადობის თემებთან დაკავშირებით და დაურიგეს საინფორმაციო ბუკლეტები. აღნიშნულ დღეს, შეუერთდნენ საჯარო სკოლის მოსწავლეები და სამოქალაქო განათლების პედაგოგები.

6 დეკემბერს, მონრეალში მომხდარი ტრაგედიის ხსოვნის დღეს, აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით მივაწოდეთ ინფორმაცია საჯარო მოხელეებს და მოვაწყვეთ ვიდეო ფილმის ,, ხმა ამოიღეთ" ჩვენება, სადაც ძალადობის მსხვერპლ ქალთა რეალური ისტორიებია ნაჩვენები. ფილმის ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია.

10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს მოვაწყვეთ სამხატვრო სკოლა-გალერიის მოსწავლეთა ნახატების გამოფენა, ნამუშევრებში ძალადობის ყველა ფორმა იყო გადმოცემული. ასევე ბავშვებთან, მათ მშობლებთან და პედაგოგებთან გაიმართა საუბარი ძალადობის ფორმებზე და აღმოფხვრის მექანიზმებზე. შეხვედრაზე მოწვეული იყო ფსიქოლოგი და სასულიერო პირი. მუნიციპალიტეტში, ყველა დღესასწაულს და ღირსშესანიშნავ თარიღს ავღნიშნავთ, ასევე იმართება სპორტული და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები. ყველა ღონისძიებაში თანაბრად ხდება გოგონების და ბიჭების ჩართულობა.

სამტრედიის მუნიციპალური გენდერული

თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე : /ნათია პაპავა/.